საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N4

ბათუმი 12 თებერვალი 2021 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი სათათბირო საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს წევრთა რაოდენობისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, ამავე რეგლამენტის 66[1] -ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და 67[1] -ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს წევრთა რაოდენობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 6 წევრით.

2. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს შემდეგი შემადგენლობა:

ა) დავით გაბაიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) ტიტე არაშიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) დავით ბაციკაძე - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;

დ) ვლადიმერ მგალობლიშვილი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;

ე) მარინე გვიანიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;

ვ) ირაკლი ჩავლეიშვილი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდოარის 2020 წლის 19 მაისის N 16 ბრძანება ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს წევრთა შემადგენლობის დამტკიცების შესახებ".

4. ბრძანება სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს საბჭოს წევრებს.

5. ბრძანების დაგზავნა დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებას.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N 30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით გაბაიძე